

გიორგი გოგოლაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი; არნ. ჩიქობავას სახელობის

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

giorgigogolashvili@rambler.ru<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.16>**რევაზ ინანიშვილი – „პროზის ტარიფით მომუშავე პოეტი“**

(ფიქრები რევაზ ინანიშვილზე)

საკვანძო სიტყვები: რევაზ ინანიშვილი, პროზა

ანა კალანდაძე თავის აივანზე იდგა, ხელი პირდაპირ მდგარი შენობისაკენ გაიშვირა და თქვა: - ამ სახლში რეზო ინანიშვილი ცხოვრობდა; მე მას **პროზაიკოს-პოეტს** ვეძახდიო... წერილიც გამოაქვეყნა ქალბატონმა ანამ ასეთი სათაურით: „პროზაიკოსი პოეტის გახსენება“... სულისშემძვრელი ფინალი აქვს ამ წერილს: „მითხრეს, სულთახდომისას ანგელოსები გამოცხადებია რეზო ინანიშვილს და მათ უწინამდღერებიათ მისთვის მარადისობის ულამაზეს სასუფეველამდე...“

1985 წელს რეზო ინანიშვილმა უპასუხა ალმანახ „პოეზიის“ ანკეტას. ერთი კითხვა ასეთი იყო: „ზოგიერთი პროზაიკოსი თავს „ხელმოცარულ პოეტად“ თვლიდა. იზიარებთ თუ არა ამგვარ შეხედულებას?“

რეზო ინანიშვილის პასუხი: „არ ვიზიარებ. თვით ისინიც კი, რომლებიც პოეზიაში ხელმოცარულებად აღიარებდნენ თავს, რომანისტები ერქვათ თუ დრამატურგები, გულიგულში მაინც ფიქრობდნენ, რომ უფრო მაღალ პოეტურ საფეხურზე იყვნენ შემდგარნი, ვიდრე მაშინ, როცა ლექსებს წერდნენ. ყოველგვარ კაზმულ სიტყვას პოეტურის ჩვენების სურვილი ქმნის - ყველაზე დიადი, რაც კი ადამიანის სურვილის საუფლოში შექმნილა, პოეზიაა. ერის დიდების საწყაოც – როგორც წინათ იტყოდნენ – პოეზიაა. სიდიდის, სიმძლავრისა და სიმდიდრის კი არა, - დიდებულების. ერი, სახელმწიფო, ხალხი თუკი პატივს სცემს პოეზიას, პოეტურს, პატივს სცემს სიმართლეს, სათნოებას, სინდისს, კეთილშობილებას. მთავარი კი ესაა კაცთა ცხოვრებაში...“

ეს არ იყო დასმულ კითხვაზე პირდაპირი პასუხი... რეზო ინანიშვილს ეს დიდებული საუბარი პოეზიაზე ამ პასუხისათვის დასჭირდა... აი, პასუხიც: „პირადად მე? დღესაც პოეტი ვარ. ღიმილის უფლებას თუ მომცემთ, ამასაც დავუმატებ, – **პროზის ტარიფით მომუშავე პოეტი** და მე ეს საამაყოდ მიმაჩნია!..“

„ღიმილი“ ამ შემთხვევაში „ხუმრობის“ ტოლფასი არ არის – გამჟღავნებულ საიდუმლოს გულისხმობს; ამას სერიოზულად ამბობს „ღიმილის უფლებით“... რატომ ვფიქრობ ასე? - მოგახსენებთ:

რეზო ინანიშვილის სხვადასხვა დროის ჩანაწერები გვაძლევს ამგვარი ფიქრის უფლებას... სხვადასხვა გამოცემებში გაბნეულ სხვადასხვა დროის ჩანაწერებს გამოვკრებთ „პროზაიკოსი პოეტის“ შესახებ... შევეცდები, თქვენც გაგიზიაროთ და დაგარწმუნოთ... ჩავიკითხოთ ერთად...

არა, ჩვენ არ ვწერთ მეცნიერულ გამოკვლევას; **ეს არის ესე - „პოეტი საკუთარი თავის შესახებ...“** (გზადაგზა მცირე კომენტარი გვეპატიოს...).

მაშ ასე, „პროზაიკოსი პოეტს“ ჩაუწერია:

- **„ჩვენი, ლირიკოსების, ბოლო უდროო კატასტროფაა. სიყვარული, რომელსაც ვეყრდნობით ფიზიკური არსებობით, იმსხვრევა მძულვარებით აღსავსე სამყაროში. ვიმსხვრევით ჩვენ.“**

- „ნეტავ **თუ** მაინც **ვიქნებოდით პოეტი**, სოფლის შუაგულში რომ დავბადებულიყავი?“

- „ჩემი პროზიდან ერთი ნაბიჯია პოეზიამდე“;

- „ყველაზე ჭეშმარიტ სიმართლედ მე მიმაჩნია **პოეტური სიმართლე**. პროზაიკოსი ვერასოდეს მიაღწევს ამას“...

დიახ, ეს პოეტის ფიქრია, „პროზის ტარიფით მომუშავე პოეტისა“...

კი მაგრამ, რას ნიშნავს „პროზის ტარიფით მომუშავე პოეტი“? ალბათ ამას:

**

ვრცელი ჩანაწერია: - „თუ არ ვცდები, მიხ. პრიშვინს აქვს ასეთი გამონათქვამი: ერთხელ გახურებულ კეცზე რამდენიმე ნაწარმოების გამოცხობა არ ხერხდებაო. რამდენი რამის გამოცხობასაც ინებებთ, კეციც იმდენჯერვე უნდა გახურდეს“... იმოწმებს მწერალი მწერალს და თავის გამოცდილებასაც გვიზიარებს:

„ყოველ მოთხრობას თავისი სჭირდება ყველაფერი: კეციც, ცომიც და შეშა კი უფრო მეტი, მაგიდასთან ჯდომის პოზაც კი.“ როცა ამას ამბობს, იქვე შეგვახსენებს:

„შეიძლება ასე იმიტომ მეჩვენება, უმთავრესად **პოეტურ** განწყობილებებში ვარ ხოლმე მოქცეული, ჩემი მოთხრობების დიდი ნაწილი, **ლექსივით, ხმამაღლა საკითხავად** მაქვს გათვალისწინებული“... თუმცა იმასაც ამბობს, მე ამ შემთხვევაში არ უნდა ვიყო ორიგინალურიო: „დარწმუნებული ვარ, ეს გრძნობა უცხო არ უნდა იყოს სხვებისავისაც, კერძოდ - ეპიკოსებისთვისაც“...

ზოგადად შეიძლება ასეა, მაგრამ რასაც ამის შემდგომ ამბობს, ეს უკვე მხოლოდ რეზო ინანიშვილია, ორიგინალური და თავისთავადი: - „მაგალითად, როდესაც საბავშვო მოთხრობა **„ბიბოს“** ვწერდი - რაიც აშკარად ვაჟა-ფშაველას გავლენით არის დაწერილი, თუმცა ბიბოს პროტოტიპი ჩემი მეზობელი ბიჭია - მაგიდასთან ვიჯექი ბიბოსავით დაკოხილი და ქედაწეული. **ყოველი სიტყვა** იწერებოდა ნელა, **დაბოხებული ხმით**. ამ **ხმაში** რაღაც უნდა ყოფილიყო ვაჟას **კაი ყმის ხმის** მაგვარი, ლეგენდარული, ზვიადი“...

- „სულ სხვანაირად იწერებოდა „თეთრცხვირიანი და შავცხვირიანი“, (ესაც საბავშვო მოთხრობაა). აქ მე ალერსიანად ვიღიმები, სუფთა **თანამედროვე თბილისელის ხმით** ვყვები ციყვების ოჯახის ამბავს. მაგიდასთანაც თავისუფლად ვზივარ, კალამიც უფრო თავისუფლად მოძრაობს“.

- „ბიბოში“ ფრაზები მოკლეა, ყოველ შემთხვევაში, ხშირ პაუზებს მოითხოვს; „თეთრცხვირიანი და შავცხვირიანი“ პირიქით, ასე მგონია, ერთი ამოსუნთქვით უნდა იქნას წაკითხული“;

- „**ჩურჩულით** ვკითხულობ ხოლმე მოთხრობას „ვიდაცას ავტობუსზე აგვიანდება“;

– „მოქნევით – „ფიროსმანს“;

– „შეკავებული ქვითინით – „როცა ტყეებს ძარცვავენ“ და სხვა“.

ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დგება საკითხი „სხვადასხვა ხმით წაკითხულ ნაწარმოებთა“ ენობრივი სტილის შესახებ. თავად რეზო ინანიშვილი დასვამს ამ საკითხს: „აქედან გამომდინარე, **„ენობრივი ქსოვილიც“** სხვადასხვანაირი გამოდის, – თუმცა რაღაც ნიუანსები საერთოც აქვთ, და **ეს არის ის, რაც მე სხვათგან განმასხვავებს.**“ ამ საუბრის შემდეგ, რა თქმა უნდა, ჩნდება სურვილი „სხვადასხვა ხმით წაკითხული“ მოთხრობების „ენობრივი ქსოვილის“ სხვადასხვაობის გააზრებისაც... განვაგრძოთ მოსმენა.

ცხადია, ჩნდება კითხვები, რომლის პასუხიც მხოლოდ „პროზაიკოსმა პოეტმა“ იცის. აქაც მწერალი გვეხმარება: თავად სვამს ამ კითხვასაც და უპასუხებს კიდეც:

– „რა არის ეს, თვითნებურობა თუ კანონი? მე უფრო მეორე მგონია. ჩემი შინაგანი მდგომარეობა, ჩემი დამოკიდებულება საგნებთან და მოვლენებთან განაპირობებენ ჩემი მეტყველების ხასიათს, ელფერს, ეს უკანასკნელი კი – წერითი მეტყველების ელფერსაც“.

ასეთი დაწვრილებითი საუბარი საკუთარ მოთხრობებზე უკვე გზამკვლევაა მწერლის შემოქმედებით სამყაროში სამოგზაუროდ.

დავფიქრდეთ და ეს კითხვაც დავსვათ: – **რას ნიშნავს სხვადასხვა ხმით წაკითხვა და რა ხმაა ის ხმა**, „რომლითაც იწერება ეს მოთხრობები“?

საინტერესოდ გვეჩვენება „პოეტური ხმის“ შესახებ **რეზო ინანიშვილის** შეხედულებათა მსგავსება **მუხრან მაჭავარიანის** თვალსაზრისთან.

მუხრან მაჭავარიანი წერს: „**ხმა** არის მთავარი! სათქმელის შესატყვისი **ხმა!**“ მისი აზრით, „ლექსი ყოვლად დაუშვებელია განიხილო, როგორც აზროვნება მხატვრულ სახეებში... სწორედ და მხოლოდ **მხატვრულ ხმაში აზროვნება** გახლავთ“ და კიდეც: „უმაღლეს პოეტურ გამარჯვებად მიმაჩნია **აზრისა და ტონალობის** შესაფერისობა, **აზრის გამმაფრებული ხმის** აღმოჩენა“...

„პოეტური ხმა“ და „პოეტური ინტონაცია“ სინონიმები ჩანს მუხრანთან. „ხმას არავინ იღებს მწერლის ინტონაციის საჭიროებაზე...“ არაერთგზის იმეორებს, რომ ყოველ მწერალს თავისი ინტონაცია უნდა ჰქონდეს; ზოგჯერ ბრაზობს კიდეც – „ინტონაცია სხვისაა“... „სავსებით განსხვავებული ინტონაციაა“... „**ხმაა მთავარი**“... „ინტონაციაა მთავარი“... „უმაღლეს პოეტურ გამარჯვებად მიმაჩნია **აზრისა და ტონალობის** შესაფერისობა; **აზრის გამმაფრებული ხმის** აღმოჩენა“...

ამგვარად: მუხრანი ამბობს, რომ ყოველ აზრს თავისი შესაფერისი ხმა უნდა შეურჩიოს პოეტმა საკუთარი „ხმის არსენალიდან“... ამ **ხმით** უნდა **გაამმაფროს აზრი...** „მხატვრული ხმა“, „პოეტური ხმა“ არის ის „საზომი“, რომლითაც მუხრანი ზომავს პოეტის სიდიდეს (სიდიადეს): „ქართული ენის თარგზეა მორგებული ანა კალანდაძის ხმა!“ ესაა ის, რაც მისთვის სიდიადეს აძლევს ანას პოეზიას... (იხ.: გ. გოგოლაშვილი, „ქართული ქართველთა რწმენა! - ფიქრები მუხრან მაჭავარიანზე“, თბ., 2019)

ასევე იფიქრა რეზო ინანიშვილმაც, როცა საუბრობდა ცალკეულ მოთხრობათა განსხვავებული „ხმით დაწერასა თუ წაკითხვაზე“...

რეზო ინანიშვილი ახერხებს, წარმოდგნა შეგვიქმნას, ჩვენამდე მოიტანოს, რას ნიშნავს „ხმა“, რა ხმაზეა საუბარი:

„ხმები. რაღაც სხვა **ხმები** მესმის, რაღაც სხვა **ხმების** დაჭერას ვლამობ. არ ვიცი, რა იქნება ამით თქმული, მაგრამ მე მაინც ისინი მჭირდება და სხვები, უკვე ჩემთვის ნაცნობნი“...

სჯერა ვაჟა-ფშაველას მინდიასი, რადგან მისთვისაც არ არის უცხო ამგვარი რამ: „არა მე მომჭერ, მინდია, ნუ მტოვებ, შენი კვნესამე! არა მე, - სხვა გაიძახის!..“ სასაცილოა თითქოს, მაგრამ დაახლოებით ასეთი რამ მემართება ამ ბოლო ხანებში. ყოველი ხე, ბუჩქი, ყვავილი თუ ბალახი მთხოვს, რაღაც ვთქვა მის მაგივრად, რაღაც მივაწვდინო თავიანთ საქმეში ჩაფლულ ადამიანებს“.

– „არავინ დამიჯერებს, რომ ვთქვა, ვიღაც თუ რაღაც მკარნახობს-მეთქი წერის დროს. როცა არ მკარნახობს, ვიტანჯები, თავის მოკვლა მინდა, ისეთ სიცარიელეს ვგრძნობ.“

– „დიდ სიკეთესთან ერთად დიდი საშინელებაა ძლიერი წარმოსახვის უნარი. მე, ჩემდა სამწუხაროდ, შემოდგომა აბსოლუტურად ზუსტად წარმოვიდგინო მატარებლების ერთმანეთთან შესკდომაც კი - მოძრაობები, ხმები, ფერები სახეები, სუნნი...“

ეს **ხმები** ესმის არა მხოლოდ წარმოსახვით, არა მხოლოდ თავისი მოთხრობებიდან (იმიტომ კითხულობს შესაბამისი ხმით), არამედ სხვათა ნაწარმოებებიდანაც.

ვ. ასლამაზიშვილის საბავშვო მოთხრობებზე ამბობს: „ეს მოთხრობები აღსავსეა მშვენიერი ქართული ხმებით“...

ტოლსტოიზე საუბრობს. „ანა კარენინას“ შეუდარებს მის პაწია მოთხრობებს: „აქ ტოლსტოის წინაშე პატარა ზის, ცხოვრებისეული ცოდნის პატარა მარაგით, მაგრამ დიდი ფანტაზიის უნარით და მწერალი გაფაციცებით ეძებს უმარტივეს ფრაზებს, სახეებს; უმარტივეს, მაგრამ აუცილებელ შეგონებებს. თანაც ყველაფერს ამბობს უფრო **ხმამაღლა, გამოკვეთით**, დანაწევრებით, ვიდრე ეს დიდებთან საუბრის დროს გვახსიათებს“...

მიხეილ ჯავახიშვილი „ერთი ყველაზე მეტყველი მწერალია, ლაღი და ხმამაღლა მეტყველი... თუ ვინმეს მაგონებს მიხეილ ჯავახიშვილი თავისი ძლიერი სუნთქვით, სილაღით, ტემოპერამენტით – მაგონებს რუსთაველს, მის ხმებს...“

– „კვლავ ქარი. რა საოცრებაა, ყოველი ხე ხომ თავისებურ ხმას გამოსცემს. დაუგდეთ ყური: სისინებენ კვიპაროსები, შრიალეხენ აკაციები, შხრიალეხენ ვერხვები – ხო, შხრიალეხენ. ასე მგონია, ზღვის გრძელი, სუფთა ტალღა ნაპირისაკენ მოაჩხრიალებს ფერად-ფერად კენჭებს“... – სისინი, შრიალი, შხრიალი, ჩხიალი – ეს მოსმენილ ხმათა „სახელებია“; ეს „სახელები“ რეზომ იცის, ინანიშვილმა... და გვასწავლის, ამიტომ გვიმეორებს... კი, სიტყვები სხვამაც იცის, მაგრამ ამ სიტყვათა „სახელები“ იცის რეზო ინანიშვილმა...

ჩვენ ცალი თვალით შევიხედეთ რეზო ინანიშვილის სამყაროში... და ამ „პოეტის მიერ წარმოსახულ სამყაროში ისეთი მშვენიერებანი არსებობს, რომელთა მსგავსს ამაოდ დაუწყებთ ძებნას ქვეყანაზე“...

მადლობა „პროზის ტარიფით მომუშავე პოეტს“ რეზო ინანიშვილს ამ სამყაროს შექმნისათვის და მასში მეგზურობისათვის...

რაც შეეხება საკითხს - **რამდენადაა შესაძლებელი „სხვადასხვა ხმით წაკითხულ ნაწარმოებთა“ განსხვავებული ენობრივი სტილის შესახებ მსჯელობა-** ამაზე საუბარი სხვა დროისათვის გადავდოთ (თუკი შევძლებთ რაიმეს თქმას....)

Revaz Inanishvili – “poet working with prose tariff”

Abstract

In the literary questionnaire of one of the almanacs there was such a question: “Some prose writers considered themselves slave poets. Do you share this view?”

Revaz Inanishvili ended his extremely interesting answer like this: “Why me?” I am still a poet today. If you give me the right to smile, I’ll give you that too, - a poet who works with prose, and I saw it is a good thing”.

Anna Kalandadze called Revaz Inanishvili a “prosaic poet”.

It seems interesting to us that Revaz Inanishvili’s views on “poetic voice” are similar to Mukhran Machavariani’s point of view. Mukhran Machavariani wrote: “Voice is the main thing! A voice corresponding to what is being said!” In his opinion, “a poem cannot be considered at all as thinking in artistic forms”...

Revaz Inanishvili “classifies” these “voices” and advises us to read his stories in a voice suitable for them (these works): “Most of my stories are intended to be read aloud like poems...”

In “Bibo” the phrases are short, in any case, they require frequent pauses; “White-nosed and black-nosed” on the contrary, I think, should be read in one breath”...

I sometimes read in a whisper the story “Someone is late for the bus”, in a soft voice – “Firoshman”, “When the forest are robbed” and others.

Therefore, the “linguistic fabric” is also different – although they have some nuances in common, and this is what makes me different from others.”

It is even possible to discern the appropriate “linguistic fabric” of these “voices”; Classification of linguistic and stylistic features? – This is what these recording of Revaz Inanishvili will make us think about...

Key words: Revaz Inanishvili, prose.